

ჭ ა ლ ბ ი



თ-ლი ვახვახიშვილი., რომელიც თავისი შვილი მოჰკლეს. იგი წარსულ კვირას მოასვენეს და თელავში მიწას მიაბარეს.

მტკვრის პირას

ცხოვრებისაგან განაწირი, მარად დევნილი, შავმა ფიქრებმა წარმიტაცეს ოცნების ნავით. გამოვერკვიე, ფიქრთ დავეხსენ, სევდით ტყვევნილი, მტკვრის პირად ვვედე, გულ-ნატკენი ჟამთა სიავით.

დიდი მდინარე წყნარის ღელვით მობუტბუტებდა, ტალღასა სცემდა თვის კედელზე მაღალს სალს კლდესა. და კლდეც, ამაყი, წყლისა ბუტბუტს გულს იხუტებდა... კვლავ გამოსცემდა ამ ხმს, გმინვა-ამონაკვნესსა

ჰოი, მდინარევე, ჟამთა ბრუნვის დიდო მოწამე, შენც, უგულო კლდევე, მარქვით, რა გაქვთ თქვენ სამწუხარო! წარსულსა სჩივით, თუ აწყოსა? მტკვარო ხმა გამე?! მამცნეთ გულის თქმა... ხვედრი თქვენი გავიზიარო...

ოდეს უყურებ, მტკვარო, მაგ შენ ტალღათა ჩქროლას, დაუდევარად მოუსვენარს მუდმივსა დენას, შე შენ მაგონებ ქართველის გულის იღუმალ თრთოლას, მაში აჰგზნებულ სანეტარო მომავლის რწმენას...

მაშ მითხარ, მტკვარო, ნუ მიმაღავ წრფელსა ხეაშიადს, მეც შენებრ შევტრფი სვე-ბედკრული ხალხის განთიადს... შენ ხომ ცრემლი ხარ... ცრემლი ტურფა სამშობლო მთების და შენი გულიც განთიადის ჟამზე დასცხრების.

ი. გოგიაშვილი.



მთელი სოფელი ხატობას გახვეტილიყო. მონასტერი ტყეში იდგა. სოფლიდან სამი ვერსის მანძილზე ტყით შემოსილ მთებში გაშენებული იყო დიდი, ძველბურთი მონასტერი. ქვეები დაჰყანგებოდა, ჩუქურთმები ჩაჰხავსებოდა, მაგრამ უდრეკი, მკვიდრი, ადგილ-ადგილ ჩამონგრეული ღაპის სიშავეში უძრავად იდგა. გამწვეტებული გუჰბათი ცად ჰქონდა ამართული, ძირი განზე გაედგა და თავი სიბერის სიამაყით ეჭირა. მისი უზარ-მაზარ ტანის ყოველი ქვა, ყოველი კენჭი და ხაზი ძველებურ სიდიადეს და ყოფილ დიდებას აჰპობდა. საამური და საზარელი იყო ამ შენობის ცქერა. უხილავ, არ არსებულ თვალებით გარს შემოხვეულ მლოცველთ უცქერდა, მაგრამ თავს არავის უყადრებდა; იწვევდა სალოცავად, მაგრამ იმას კი არ ამბობდა, თუ ვის რა მადლს უქდენიდა. საიდუმლო იყო ეს სანახაობა: თითქოს მონასტრის მადლი ყველამ იცოდა, მაგრამ თითონ კი ჰფარავდა ამ მადლს, არავის უზიარებდა ტყეც, რომელიც მას გარს შემორტყპოდა და ამ მედიდურ საიდუმლოებას აორკეცებდა. ტყეც ტაძარსავით უძრავი იყო, უხმო, პირ-ქუსი, საიდუმლო და ჩაბნელებული. მთის მწვერვალონი ბუმბერაზად დასცქეროდნენ მონასტერს, მის კარ-მიდამოს, ძველ გალავანს და იქ შეკრებილ ხალხს, თითქოს ვილაცის მძლავრ ხელს ისინი აქ ტაძრის გუშაგებად დაეყენებინოს.

ამ ეკლესიის გარშემო ხალხი დიდ-ხანს ირეოდა, დიდ-ხანს ხმაურობდა. გაისმოდა დაირისა და მუზიკის ხმა, ტაშის ცემა მაგრამ ღამე შორს გადავიდა, და ხმაურობაც მისწყდა. ცეცხლი ყველგან ჩაჰქრა. მის ადგილს მხოლოდ ნაკვერჩხალი-ლა ბუტბუტად და ნახევრად დამწვარ მუგუზლებს ბოლი ზანტი კლანჭით ასდიოდა. არყითა და ღვინით გაულენთილ ხალხს ცეცხლა-პირად ეძინა. საქონელი ტყის პირად იცოხნიდა. სრული სიჩუმე იყო. მხოლოდ ძილ-გამფრთხალ ბავშვის ტირილი თუ დაარღვევდა ხოლომე სადმე ამ სიჩუმეს რომელიც მთელი დღის ყიჟინის შემდეგ ჩამოვარდა.


ეკლესიიდან სამი ადამიანი გამოვიდა და გალავანის ბოლოში გაშენებულ ერთ-სართულიან სახლისაკენ გაემართა. სამივე ნელა მიდიოდა. მათი მოძრაობა, ღამის საიდუმლო სიბნელეში აჩრდილთა სიარულსა ჰგავდა. ერთი მათგანი წკეპლას მოიქნევდა, მეორე ჯოხს ებჯინებოდა. ნელა მოდიოდნენ, ზანტად და ჩუმად, თითქოს ხმის ამოღება არა ჰსურთო.

— სამსონ! როდის არის ეს ეკლესია აშენებული? — იკითხა ქალის ხმამ.


— მეექვსე საუკუნეში, ვახტანგ მეფის დროს! — ზარმაცად უპასუხა კაცის ხმამ.

— ღმერთო ჩემო! — შეკრთომითა სთქვა ქალმა: — სადაც რა უნდა იყოს აშენებული, ყველა მეექვსე საუკუნისაა. ყველგან ეგ მესმის. განა ჩვენებს ამაზე წინად, ან შემდეგ არაფერი უშენებიათ? თამარ მეფე, ვახტანგ მეფე! თამარ, ვახტანგ! ყველგან მათი სახელია. სხვებს რაღა უკეთებიათ?


ინგლისის მეფის გვირგვინის კურთხევა ინდოეთში.



ერთ-ერთ მაგარაჯის დახვედრა.



ინგლისის მეფის გვირგვინის კურთხევა ინდოეთში.



იმპერატორის ეტლის არენაზე გამოსვლა.

— ეს ორი მეფე, თამარ და ვახტანგ საქართველოს ისტორიის საუკეთესო დროს იყვნენ. სწორედ ისინი აკეთებდნენ ყველაფერს, ე. ი. მეტს. ამიტომ მათი სახელი უფრო მეტგანაა დარჩენილი.

— არა გამეგება რა! მაშ დავით აღმაშენებელს არა გაუკეთებია რა!—გაკვირვებით უპასუხა ქალმა. ხმაზე ეტყობოდა, რომ სამსონის განმარტებით იგი არ დაკმაყოფილდა. სამსონმა პასუხი არ გასცა.

ამ დროს სამივენი შენობას მიუახლოვდნენ და დაბალ აივანზე ავიდნენ. აქედან მათ ხელ-ახლად დაინახეს ტაძარი, მძინარე ხალხი, ტყე, მთები და მთებს იქით ახლად თავ-ამოყოფილი მთვარე. სამივე აივანზე გაჩერდნენ. ის ქალი კი, რომელიც წელან სამსონს ელაპარაკებოდა, აივნის დიდ სვეტს მიეყუდა და ტყისაკენ დაიწყო ცქერა.

სრული სიჩუმე იყო. მთელი ქვეყნის მიძინებული სიცოცხლე სადღაც ჰფეთქავდა. ბუნება მუქი-ლურჯი იყო. ჰაერი სურნელით და მთის სიგრილით იყო გაქდენილი და აუარებელი ძალა, სიცოცხლე, სიამე და ტკბილი კვნესა იმალებოდა ბუნების ამ დაუჩინებლობაში.

— ტასომ მართალი სთქვა,—დაარლია სიჩუმე მეორე ქალმა, რომელიც აივნის კიბეზე ჩამოჯდა,—ყველგან და ყოველთვის ერთი რამ ესმის ადამიანს ჩვენი წარსულისა! თამარ, შოთა, ერეკლე, ნინო, ვახტანგ! თითქოს სხვა აღარაფერი გქონოდეს, სხვა აღარაფერა გეყოლოდეს. ვთქვათ, მართალია ის დიდება, რომელსაც ამ ხალხს აწერენ, მაგრამ მართო ესენი? სხვები სადღა არიან?

— ვინ-ღა სხვები?—ჰკითხა სამსონმა.

— განა სხვანი აღარაფერა გეყოლია?

— მეტი ვნებავთ?

— თითქოს დაცინვითა და გაკვირვებით ჰკითხა სამსონმა.

— რასაკვირველია, მნებავეს, გაიკვირვა ქალმა.

— რათაო?—ვერ მიუხვდა სამსონი მოსაუბრეს.

— უნდა იყვნენ და იმიტომ. უნდა ყოფილიყვნენ. უეჭველია, იყვნენ და ჩვენ არ ვიცით. იმ ხალხს, რომელსაც ჰყავდა თამარი, შოთა, ვახტანგი, სხვებიც უნდა ჰყოლოდა. თუ ესენი გამოზარდა და შეჰქმნა, სხვებსაც გაზარდიდა და შეჰქმნიდა.

— ვინ ხალხი?—დასცინა სამსონმა.

— აი, ეს, რომელიც აქ გაღეშილი ჰყრია არყითა და ღვინით მთვრალი?—ხელი გაიშვირა სამსონმა მძინარე გლეხებისაკენ.—ესენი ვერას შეჰქმნიან.

— შეჰქმნიან! თქვენ შეძლება მიეცით და შეჰქმნიან.

— რა შეძლება? რის მიცემა შეიძლება? გგონიათ, რომ რამე გაუწოდო, გამოგართვან? ტყუილია. ესეც არ იყოს... მე რა მაქვს, მაგათ რა მიეცე.

— სამსონ, სტყუიხარო! აი, თქვენ მასწავლებელი ხართ. თითქმის ექვსი წელიწადია აქა ჰმასწავლებლობთ. რა გააკეთეთ? შეგეძლოთ კი გაგვეთვინათ...

— არ შეიძლება მეთქი, ხომ გითხარით. სიტყვა გააწყვეტინა სამსონმა.

— თქვენ თუ არ იცით, აი, ტასომ იცის, მეორე წელიწადია, ხალხს ველაპარაკები, სკოლისათვის ახალი შენობაა საჭირო მეთქი; ვერა შევაგნებინე რა.

— ლოთობას უკიჟინებთ!—განაგრძო გაწყვეტილი სიტყვა ქალმა.—დღეს თქვენ თითონა სვამდით! მერე რამდენი დალიეთ. მიკვირდა, რომ გიცქერდით. აი, სწორედ ამ გლეხებში იჯექით და მათთან ერთადა სვამდით. ამისთანა მაგალითით, რასაკვირველია, ვერას მისცემთ!

— არა, ერთი მიბრძანეთ,—შერცხვენითა სთქვა სამსონმა,—თქვენც ხომ მასწავლებელი ბრძანდებით, ტასოც, რატომ თქვენ არას აკეთებთ? რაღა მე უნდა გავაკეთო!

— თქვენ ლაპარაკობთ ხალხზე, თქვენ მაშა-კაცი ხართ და ხალხს უფრო ახლო უდგევხართ, ვიდრე მე და ტასო. ესეც არ იყოს, ჩვენ როდი ვყვირით ხალხის პედსა და უბედობას, ამას თქვენც ლაპარაკობთ ხოლმე.

— მერე!—გაიკვირვა სამსონმა.

— გახსოვთ, იმ დღეს რას ელაპარაკებოდით ექიმს? ყურს რომ გივდებდით, ასე მეგონა, ეს კაცი ქვეყანას შეიგდებს მხარზე და ისე დაატრიალებს მეთქი. პირიდან ბაჯალლო ოქრო ამოგდოდათ. აზრები, აფორიზმები, ძლიერი სიტყვები, ხალხი, სიყვარული, ვინ მოსთვლის! ყველაფერი პირზე გეკერათ. მერე რა კარგად ლაპარაკობდით! იმ წუთს მიყვარდით, მზად ვიყავ სადაც მეტყოდით, გამოგყოლოდით. ასე მეგონა, დევ-გმირი ბუმბერაზი დაჰბადებია საქართველოსა მეთქი. თან მიკვირდა: ამ კაცს არ ვიცნობდი, თუ ეხლა მოუვიდა ეს მეტამორფოზა მეთქი. რად ლაპარაკობდით, თუ კი არაფერი შეგეძლოთ? სამსონს თითქოს შერცხვა. აივანზე დაიწყო სიარული ჯოხს იქნევდა და ილიმებოდა.

— მე რას მომადექით? სხვის თვალში ნემსსა ჰხედავთ, აი, თქვენ ხომ ბევრსა ლაპარაკობთ ექმანისადაც და თანა-სწორ-უფლიანობაზე? გააკეთეთ საქმე და თუ მე არ ვარგვიარ, თქვენ იყავით კარგნი. კი ნუ გამითანასწორდებით, გამისწორით. თქვენც ბევრი რამ შეგემატებათ და სხვებსაც,—უთხრა სამსონმა.

— ჩვენ თავი დავანებეთ! აკი მოგახსენეთ არ შეგვიძლიან და არცა ვლაპარაკობთ მეთქი. ნეტა შემეძლოს და ნახავდით, გავაკეთებდი თუ არა! თქვენსავით ლაპარაკს როდი მოვყვებოდი. თუ თქვენ, სრულ უფლებიანი მამა-კაცი არას აკეთებთ, ჩვენ რა უნდა გავაკეთოთ, ქალებმა? მერე, როცა ვლაპარაკობ

ინგლისის მეფის გვირგვინის კურთხევა ინდოეთში.



რათა გწყინთ? მარტო თქვენ რომ არა მყევხართ სახეში? არა თქვენისთანა მრავალია. ყველა კაცები ეგეთები ხართ. თქვენც ეგეთი ხართ, მაყვლიანელი მასწავლებელიც, ჩვენებური ექიმიც და ფერშალიც! მთელ ამ მხარეს თუ ვინმე რასმე აკეთებს, ისევ ბოქაული აკეთებს. საკვირველია, მაგრამ... სატირელი. აგერ იმ კაცმა გზები გაიყვანა. წყალი გამოიყვანა...

— ქურდები დაიჭირა და მართალი მიხა გაამართახა.—სიცილით ჩაურთო სამსონმა კატოს სიტყვებში.

— ენა რომ არა გქონდეთ, თავგები სოროში შეგაძვრენდნენ. გამწარებით უპასუხა კატომ.

— ეგ თქვენი სიტყვათ! თქვენი საქმიანობაც ვიცი.— კატოს რალაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ტასომ აღარ აცალა, შეატყო, რომ კამათი მწვავედებოდა და ამხანაგებს უთხრა:

— გეყოფათ მაგდენი უთავბოლო ლაპარაკი. სჯობს ბუნებას უგდოთ ყური. კატო კი თქვენზე მეტს აკეთებს, სამსონ! მაგისი შეგირდები ბევრსა ჰკითხულობენ, სკოლაში საბავშვო კარგი სამკითხველოცა აქვს.

— ტასო პოეტობს!—გაიცინა სამსონმა.

სამივენი გაიხუმდნენ. კატომ თავი ჩაჰლუნა და რალაცაზე დაიწყო ფიქრი. ტასო ისევ ტყეს გასცქეროდა. სამსონი აივანზე დადიოდა და ჯოხს იქნევდა. გრილმა სიომ დაუბერა, ქალებს თმები გაუწეწა, ლოყებზე შემოეფლო, მსუბუქ ხალათებიდან ტანში ჩაუძვრა და ააყრუოლა. მთვარის შუქი ჰაერს ალოურჯებდა და ყოველ საგანს ლურჯი შუქით ანათებდა. კატოს თავის ჩრდილი მუხლებზე დასცემოდა, ტასოსი კი ბოძს მიჰკროდა და აივნის იატაკზე გაშლილიყო. სამსონს მთვარის შუქი მხოლოდ ფეხებზე ხვდებოდა. წელს ზევით, მას აივნის სახურავი სჩრდილავდა.

ხალხს ეძინა. საქონელი ფშვინავდა. ირგვლივ ყველაფერი სჩანდა, მაგრამ ბუნდათ, და რაც უფრო შორს იყო საგანი, მით უფრო ბუნდი იყო, უფრო მუქი-ლურჯი, თითქმის შავი. გათელილი ბალახი ეზოს შავ-ხალიჩასავით დაჰფენოდა და ვინ იცის, როდინდელ საფლავებს უმწეო ყარაულებად ედგა და უძრავი ალერსით ელამუნებოდა. გაიხუმებული იყო ბუნება, ისე, როგორც საფლავის ქვები.

სადღაც ქოტმა დაიკვილა. უსიამოვნო კივილი კიდით-კიდემდე გაისმა, ნაძვების წვერებს მოხვდა და სადღაც, შორს, კლდეში ჩაჰქრა.

მოსაუბრენი სამივენი სოფლის მასწავლებლები იყვნენ. სამივენი ჯერ ისევ ახალ-გაზრდანი. ყველაზე უმცროსი მათში ტასო იყო. ლამაზი არ იყო, მაგრამ ეზიანი იყო. სახის შავ-გვრემანი ფერი, რგვალი ცხვირი და შავი თვალები ადამიანს ესიამოვნებოდა. მხოლოდ მსხვილი ტუჩები აუშნობდნენ მას. ტანად წერწყეტი იყო. სამი წლის წინად მოვიდა იგი ამ სოფელში. აქ დახვდნენ მისი ახლანდელი ამხანაგები: კატო და სამსონი. ორივე კარგი ადამიანები იყვნენ, ასე ეგონა ტასოს მაინც. და მალე შეეგუა მათ. მუდამ მოყვარული გული მალე გაუხსნა ორივეს. მათაც გულმხიარულად მიიღეს იგი. საშინელი რამ ეგონა ტასოს პატარა სოფელი, როცა პირველად მივიდა იქა. ზამთარი იყო. ყველაფერი გატიტვლებულიყო, ყველაფერს თოვლი დასდებოდა, წყალს დაეკლო, ხალხი სახლებში შეხიზნულიყო და საშინელი სიცარიელე, მარტოობა იდგა მთელ არე-მარეს. სოფლის პატარა ბიჭები ხომ გულს უწყალებდნენ: დაფლეთილები, დაგლეჯილ ტანისამოსში გამოხვეულნი, ჭუჭყიანი, ცხვირ მოუხოცავნი და უშნონი იყვნენ მისი შეგირდები. ტასოს ყველა ველური ეგონა. გაუგებარი და უგონო. მძიმედ ამოიოხრა მან, როცა პირველად მარტო დარჩა თვის ოთახში, ანთებულ ბუხრის წინ.

გარედ ქარი ზუზუნებდა, თოვლს იტრიალებდა, კარფანჯარას არახუნებდა და ნამქერი სადღაც შორს, უცნობ მხარეში მიჰქონდა. შეეშინდა ტასოს მარტოობისა, მრისხანე ბუნებისა, სოფლის გაუგებრობისა და ჩაფიქრდა.

— ნუ თუ აქ უნდა გავატარო მთელი ჩემი სიცოცხლე? ან დიდი დრო მაინც? როდემდის? ხომ წახდება, უაზროდ დაიკარგება სიცოცხლე?—ჰფიქრობდა ტასო. მაგრამ ყველაფერს მალე შეეჩვია. აქაც ხალხი იყო. კატო, სამსონი! როგორც იმით უცხოვრიათ, მეც ისე ვიცხოვრებ, გაიფიქრა ტასომ. დანარჩენი ვჰ... მაგრამ დანარჩენი რა იქნებოდა, ეს კი აღარ უფიქრია.

შემდეგ კი დაიწყო ერთფეროვანი ცხოვრება, უსიცოცხლო, უსიხარულო. ყველაფერი მომართულ მექანიზმსავით მუშაობდა და ამ რიგად, მიყრუებული კუთხეში დაიწყო ფეთქა ახალგაზდა სიცოცხლემ, რომელსაც ჯერ არაფერი ენახა: არც ცხოვრება, არც სიყვარული არც სიმწარე და არც სხვა რამ. ტასოს გულს, სულს, გონებას ნელ-ნელა რალაცა აკლდებოდა, ობლდებოდა. როცა ტასო თავის წარსულს დაუფიქრდებოდა ხოლმე, ჰხედავდა, რომ იქაც არა იყო რა გარდა ასეთსავე ერთფეროვნებისა, ეხლაც ერთფეროვნება იყო და შემდეგშიაც ასევე იქნებოდა. წვალებით გაათავა გიმნაზია. წვალებით გავიდა ცხოვრებაში და ეხლა კი მყუდროდ მიმდინარეობდა იგი. თითქოს კიდევცა სჯობდა ასე. ხანდახან აგონდებოდა თავისი ღარიბი ოჯახი, რომელიც სამშობლო სოფელში დასტოვა. როცა შეეკითხებოდა ხოლმე თავის-თავს, რათა ვქენი ესაო, მიჰხედებოდა ხოლმე, რომ ეს გაჭირებამ აიძულა, რომ მხოლოდ ჯამაგირისთვის იყო აქა და ღონდებოდა. მაგრამ დრომ თითქოს ყველაფერს შეაჩვია. მოწყენილობა ძვალსა და რბილში გაუჯდა, მარტოობას ველარა ჰგრძნობდა, ჩაჩუმდა ახალგაზდა სიცოცხლის ძალი. და ეხლა, როდესაც იგი ზაფხულის ამ მშვენიერ ბუნებას, საიდუმლოებით მოცულ ღამეს და ბუმბერაზ სიძველეს უცქეროდა, როდესაც ყურს უგდებდა შორეულ ტყის უხმო მღერას, ეხვეოდა სიოს ნაზ ქროლვაში, სისხლმა მოძრაობა დაუწყო, და გულმა უმწეოდ შემოჰკენესა. რალაცას ეძებდა მისი გული: ტკბილს, მყუდროს, საამუხს, გრძნობიარეს, ცრემლიანს და მოალერსეს. ნელა დამძიმდა გული, ნელა დაიწყო კენესა, თითქოს შორს წასულ, ან უნახავ ღმერთსა ჰგლოვობდა, ღმერთს, რომელიც მისი უნდა ყოფილიყო, რომელსაც მასთან უნდა ეცოცხლა, სიცოცხლე უნდა მიეცა და მასთანვე ერთად მომკვდარიყო. ჰგლოვობდა, სტიროდა გული უცრემლოდ, სევდის ბაღდაშით იესებოდა და ნატკენ, დაწყლულებულ თითივით კენესოდა. ტასო სატირლად მზად იყო; ცრემლები თვალების სიღრმეში უთრთოდა. ტრო რაც მეტად უგდებდა ყურს თავის გულის თქმას მით უფრო მეტად მოსწონდა იგი, მით უფრო უყვარდა თავისი სევდა და მით უფრო უნდოდა, რომ ეს გრძნობა უფრო ძლიერი, უფრო მტანჯველი ყოფილიყო. დიდხანს იყო ტასო ასე-სურათი კი არ იცვლებოდა. მთვარე ისევ ანათებდა, სიო ისევ უბერავდა, კატო ისევ ჩაკეტილი იჯდა საფეხურებზე, თავი ხელებში ჩაედო და ჰფიქრობდა; სამსონი აივანზე დადიოდა.

— ჩვენი ძველებური ამბების შესწავლა მინდა—დაარღვია სიჩუმე კატომ. ხმა არავინ გასცა. მხოლოდ სამსონმა ამოიოხრა, გრძელ სკამზე ჩამოჯდა და რალაცა უაზრო ჰანგის სტვენას მოჰყვა. მერე სტვენას თავი დაანება და არე-მარესაც ისევ სიჩუმე მოედო.

— კატო! რამდენი ხანია, რაც მასწავლებლობა ხარ?—წყნარად ჰკითხა ტასომ, ისე, რომ ამხანაგისათვის არც-კი შეუხედნია.

— ათი.—უპასუხა კატომ.
— მუდამ ასეთ სოფლებში იყავ მასწავლებლად?—კიდევა ჰკითხა ტასომ.

— მუდამ. თითქმის მუდამ, თუ არ ვიანგარიშებთ იმ ორ წელიწადს, რომელიც ქალაქში გავატარე.

— მერე?—ისევე ჰკითხა ტასომ.

— მერე რა? არაფერი.

— რა ჰნახე? რა გააკეთე?

— ჩემი საქმე გავაკეთე. ჩემი ანგარიშით ამ ათ წელიწადში ორას ორმოცდა ათი კაცი მყავს გაწვრთვნილი. მაგრამ... ბევრი ვერა მივეცი—რა. ეს ხშირად მიფიქრია. 29 წლისას უკვე 250 კაცი მყავს გამოზრდილი, მაგრამ ვერა-რა ვასწავლე, წერა-კითხვის მეტი. ბევრი ეხლაც ისევ ჩათვლით ჰკითხულობს და, მგონი, ასე ჩათვლით დაიხოცება.. რისთვის დავხარჯე ძალი, ღონე, ახალ-გაზრდობა?—თითქმის თავისთვის წაიბუტბუტა კატომ.

ი. ტატიშვილი.

(დასასრული იქნება)

